ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№15

ქ. თბილისი; 21 თებერვალი, 2018 წ. 15:30 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
დავით ჭელიძე
თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
გიორგი ჩაკვეტაძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ვალერი ჭიღლაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსად გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
2. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
3. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე რუსუდან მირკიზაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1-2-3. სხდომის თავმჯდომარემ - ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსად გიგა გიგაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ", "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსად ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" და "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე რუსუდან მირკიზაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ბატონი გიგა გიგაშვილის დანიშვნის საკითხი არის ტექნიკური ხასიათის. ვინაიდან, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის შედეგად ყალიბდება გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, შესაბამისად, ხდება სამსახურის უფროსის ხელახალი დანიშვნა.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ კულტურის საქალაქო სამსახურისა და განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის შერწყმის შედეგად შექმნილი საქალაქო სამსახურის უფროსად ინიშნება ბატონი ირაკლი გვილავა. ხოლო, ურბანული საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარმოდგენილია ქალბატონი რუსუდან მირზიკაშვილის კანდიდატურა.

ბატონმა ლევანმა დასძინა, რომ ქალბატონი რუსუდანის ავტობიოგრაფია (CV) შთამბეჭდავია და მისი კვალიფიკაცია სრულად შეესამება მის მიერ დასაკავებელ თანამდებობას.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, რატომ შეიცვალა რამდენიმე დღის წინ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსად წარდგენილი კანდიდატი, ვახტანგ ჯოხაძე, რომელსაც არანაკლებ შთამბეჭდავი ავტობიოგრაფია აქვს.

აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით, ბატონმა **ვალერი ჭიღლაძემ** აღნიშნა, რომ ვახტანგ ჯოხაძე არის ძალიან კარგი პიროვნება და დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალი ურბანულ სფეროში. მისი თქმით, თბილისის მერია მუდმივად თანამშრომლობდა მასთან. თუმცა, ერთობლივი კონსულტაციების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სხვა ფორმატში გაგრძელდეს მასთან ურთიერთთანამშრომლობა.

ბატონმა ვალერი ჭიღლაძემ დასძინა, რომ ბატონი ვახტანგი წარმატებით ოპერირებს კერძო სექტორში და აქვს საკუთარი ბიზნესი, ხოლო, სამომავლოდ ურბანული საკითხების განხილვისას ის ექსპერტის სახით იქნება მოწვეული.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულებების პროექტებში მითითებული უნდა იყოს განკარგულების ამოქმედების თარიღი - **2018 წლის 22 თებერვალი.**

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ ვინაიდან, დასამტკიცებლად წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები, სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი,** რომლის თანახმადაც, **მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულებების პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულებების პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა - **ვალერი ჭიღლაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ დანართ 3-ში - ტექნიკური შეცდომის შესწორებას, კერძოდ მონიტორინგის განყოფილებაში უნდა ეწეროს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი), ნაცვლად მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის (განყოფილების) უფროსი); ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილების პირველი მუხლის „მ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ დანართ 12-ში -საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილებაში უნდა იყოს 7 მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, შესაბამისად უქმდება 1 ერთეული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და ემატება 1 ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ბატონმა ვალერი ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილების პირველი მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ დანართ 13-ში - საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და

რეაბილიტაციის მართვის განყოფილებაში ერთი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იცვლება პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტით, ტექნიკურ-ეკონომიკური განყოფილებაში ერთი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იცვლება პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტით და საპროექტო განყოფილებაშიც ერთი მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იცვლება პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტით.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სასურველია, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა დამატებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ **მუხლი 2. დადგენილება** ამოქმედდეს 2018 წლის 22 თებერვლიდან.“

ბატონმა ვალერი ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ ეთანხმება მითითებულ შენიშვნებს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ქალბატონმა **ლილე ლიპარტელიანმა.**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი	თინათინ კასრაძე